

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 12 სექტემბრის №1818/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "LINEAS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის "ESSILOR INTERNATIONAL (COMPAGNIE GENERALE D'OPTIQUE)" (მისამართი: 147, rue de Paris, F-94220 CHARENTON LE PONT) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „LINEIS“ (საერთაშორისო რეგისტრაციის № 903703, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 24.10.2006წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი უღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „კისტლერ ჰოლდინგ ავ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან გრაფიკულად (ვიზუალურად). მიუხედავად იმისა, რომ როგორც განცხადებული, ასევე, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით, ვიზუალურად განსხვავებულია ბოლოსწინა ასოები - თუ განცხადებულ ნიშანში იგი წარმოადგენს „A“ ასოს, დაპირისპირებულ ნიშანში ის არის ასო „I“, რაც ვიზუალურად აღიქმება განსხვავებულად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „ლინეას“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ლინეის“, შესაბამისად,

განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობა განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის მითითებით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განცხადებულ ნიშანს გააჩნია სემანტიკური დატვირთვა, კერძოდ, ესპანურ ენაზე იგი ნიშნავს „ხაზები; ხაზის გავლება“, რაც ირიბად უკავშირდება ამ ნიშნით წარმოებული საქონლის (გადამწოდების ტიპის ხელსაწყოების) გამოყენების მეთოდს, როდესაც ეს ხელსაწყოები თავსდებიან გზის მონიშნულ სწორხაზოვან მონაკვეთებზე და განსაზღვრავენ ამ ხაზებზე სატრანსპორტო საშუალებების გავლისას მათ წონას, არეგულირებენ გზებზე მძიმე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელ მოძრაობას. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, იგი ფანტაზიურია და, შესაბამისად, არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა. აპელანტის განმარტებით, ნიშნების ზემოთ მოყვანილ გრაფიკული, ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზი, ცხადყოფს, რომ ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები თანაარსებობენ როგორც განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების წარმოშობის ქვეყნებში (შვეიცარია, საფრანგეთი), ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, აზერბაიჯანში, ბელარუსში, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, მაროკოში, ისლანდიაში, იაპონიაში, ნორვეგიაში, ლიხტენშტაინში, ხორვატიაში, უკრაინაში, ყაზახეთში, კენიაში, კორეის რესპუბლიკაში, რის დასტურადაც წარმოდგენილია ამონაწერები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) მონაცემთა ბაზიდან იმ ქვეყნებისათვის, სადაც რეგისტრაციის პროცედურა უკვე დამთავრებულია ან სადაც ორივე ნიშანზე დასრულდა საქმის წარმოება, რაც, ასევე, იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მათი თანაარსებობა დაშვებული იქნება ყველა იმ ქვეყნებში, სადაც საქმის წარმოება ჯერ არ დასრულებულა. აპელანტის პოზიციით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი

სხვადასხვაა ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-9 კლასის საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოხატება დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-9 კლასში შემავალი საქონლისათვის არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. აქვლანტის მითითებით, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანი მხოლოდ საქონლის კლასიფიკაციაა. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში საქონლის არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების დადგენა ექსპერტიზის მიერ უნდა მოხდეს საქონლის სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშნების საქონლის ჩამონათვალი აბსოლუტურად განსხვავებულია. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის „LINEAS“ მფლობელი კომპანია ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-9 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებების ხარისხის მთვლელი დეტექტორები; ასეთი სენსორების ელექტრონული ნაწილები და საკუთნო, შეტანილი ამ კლასში (Power detectors for calculations on running road vehicles; electronic parts and accessories for such sensors included in this class), ხოლო დაპირისპირებული ნიშნის „LINEIS“ მფლობელი კომპანიას სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს შემდეგი საქონლისათვის: „სათვალის ღინზები; სათვალის შუშები, რომლებიც მოიცავს: პლასტიკურ ღინზებს, მაკორექტირებელ ღინზებს, პროგრესირებად ღინზებს, მზის სათვალის ღინზებს, პოლარიზებულ ღინზებს, ტონირებულ ღინზებს, შეფერილ ღინზებს, შუქმგრძობიარე ღინზებს, ფოტოქრომულ ღინზებს, დამუშავებულ ღინზებს, დაფარულ ღინზებს,

ანტირეფლექსურ ლინზებს, ნახევრად დამუშავებულ ლინზებს; სათვალის ლინზების ნამზადი; სათვალის ლინზების ნახევრად დამუშავებული ნამზადი; სათვალის ლინზების ფუტლიარები; სათვალის შუშების ფუტლიარები (Ophthalmic lenses; spectacle lenses, including: plastic lenses, corrective lenses, progressive lenses, sunglass lenses, polarized lenses, tinted lenses, coloured lenses, light-sensitive lenses, photochromic lenses, treated lenses, coated lenses, anti-reflective lenses, semi-finished lenses; spectacle lens blanks; semi-finished spectacle lens blanks; cases for ophthalmic lenses; cases for spectacle lenses).

აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი მიეკუთვნება მე-9 კლასს, ნათელია, რომ მათი რეგისტრაცია მოითხოვება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქონლისათვის. კერძოდ, განსხვავებულია როგორც საქონლის სახე, ისე მათი პოტენციური კლიენტების ჯგუფები, გაყიდვის ადგილი, ფორმა და ა.შ. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე მოხდა ექსპერტიზის ეტაპზე დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალის მსგავსად მიჩნევა.

აპელანტის მითითებით, სწორედ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალის ასეთი მკვეთრი არაერთგვაროვნების კიდევ ერთი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ისინი მშვიდობიანად თანაარსებობენ მრავალი ქვეყნის ბაზარზე, ვინაიდან თანამედროვე პრაქტიკა თუნდაც მსგავსი დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განსხვავებას დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლებს შორის.

ამასვე ადასტურებს საქპატენტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სასაქონლო ნიშნებთან სოლიანი - „joliani” და „ROTT – ROTH” დაკავშირებით.

აპელანტის განმარტებით, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ დაპირისპირებული ნიშნის კომპანიის დასახელებაში პირდაპირ არის მითითებული იმ ნაწარმის შესახებ, რომელსაც კომპანია აწარმოებს - „კომპანი უნერალ დ'ოპტიკ“ (ოპტიკის წამყვანი კომპანია), რაც დამატებითი არგუმენტია იმის დასადასტურებლად, რომ კომპანიები აწარმოებენ კარდინალურად განსხვავებულ საქონელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 12 სექტემბრის საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1818/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LINEAS” (საიდ. №68591/03 IR 736548) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LINEAS” (საიდ. №68591/03 IR 736548) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „LINEIS” (IR903703) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LINEAS”, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „LINEIS” შესრულებულია სტანდარტული 6 ლათინური ასომთავრული ასოთი. იდენტურია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ნაწილები „LINE” და ორივე სასაქონლო ნიშანი მთავრდება „S” ასოზე. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავებას მხოლოდ ერთი ასო წარმოადგენს, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს ასოს „A”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განცხადებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს ასოს „F”. ორივე ასო ხმოვანთა ჯგუბს მიეკუთვნება და ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და

მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფონეტიკურად, რადგან როგორც განცხადებული ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სამ მარცვლიან სასაქონლო ნიშანს და განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოთქმის, როგორც „ლი-ნე-ას“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი როგორც „ლი-ნე-ის“. კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ ვინაიდან, ქართველ მომხმარებელთა უმრავლესობას არ ესმის ესპანური ენა, შესაბამისად იგი ვერ აღიქვამს და დაუკავშირებს განცხადებულ ნიშანს აღნიშნული ნიშნის ქვეშ წარმოებულ საქონელს, შესაბამისად, სემანტიკურ მნიშვნელობას მოცემულ შემთხვევაში ვერ ექნება განმასხვავებლობა. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსად მოითხოვება მე-9 კლასში, შესაბამისად საქონლის ერთგვაროვნებაც სახეზეა, რადგან ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის თანახმად, ერთ კლასში ძირითადად კლასიფიცირებულია ერთგვაროვანი საქონელი, შესაბამისად განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს იმდენად დიდი ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება, რომ შესაძლებელია სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LINEAS“ (საიდ. №68591/03 IR 736548) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კისტლერ ჰოლდინგ აგ“-ს (Kistler Holding AG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 12 სექტემბრის №1818/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭინაძე

მ. ბ.